


# ნიანა

6

ნახ. დ. ერიკთაშვილი



— არც ახლა მიიღებთ ჩემს ანონიმურ წერილებს?! გვარსაც და სახელსაც მარცხენა ხელით ვაწერ!

# ანონიმი ზღუეს ანუ პაპი

## ვალეტონი

ამ ორი ძველბერძნული სიტყვის გაერთიანება გვაძლავს ორი ქალის — დედისა და შვილის — საქციელმა, რომელთა საქმიანობა ორივე სიტყვის შინაარსს შეიცავს და მეტისმეტად ტუვადადაც. ანონიმი უსახელო ს ნიშნავს (ს ე ლ მ ო უ წ ვ რ ე ლ ს), ან ო მ ა ლ ი ა — უ ს წ ო რ მ ა ს წ ო რ ო ბ ა ს, საერთო წესიდან გადასვლას, კანონზომიერების დარღვევას.

რამ მიგვიყვანა ამ დასკვნამდე? განვსაჯოთ.

ჩვენს წინა საბერძნული რაიპროკურატურაში შედგენილი საბრალდებო დასკვნა № 5087807, რომელშიც წერია: „ეთერ ეტონის ასული თავადისა და თალიკო გალაქტიონის ასული ძაგნიძის დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის II და III ნაწილით“.

როგორც ზემოთ ვთქვით, დედა-შვილს ბრალი ედებათ! დედა — თალიკო გასლავთ, შვილი — ეთერი. მათი ძირითადი საქმიანობა ანონიმების წერა, ხელფასს კი მასწავლებლობაში იღებენ.

ვანელ მასწავლებელთა ერთ ნაწილს ცილისმწამებლური წერილების წერისათვის, როგორც ჩანს, დიდი დრო და მოცალეობა აქვს, თუმცა ჯერ თალიკოსა და ეთერის შესახებ.


მკითხველი იკითხავს, რა შუაში არიან ვანელები? საქმე ის არის, რომ ეს მარგალიტი დედა-შვილი ვანის საშუალო სკოლაში ასწავლიან: ეთერი — უცხო ენას, დედამისი, თალიკო ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტია. მაშინ საბერძნული რაიპროკურატურა რატომ იძიებდა საქმეს?

ვანელ მართლწესრიგის დამცველთა უნდობლობა გამოუცხადეს დედა-შვილმა. ჰქონდათ კიდევ ამის საბაბი: მათი ხელისუფლებასთან დაკავშირებული შემოქმედება ამ დარგის მუშაობასაც მისწავდა. თუმცა, როგორც ძიებამ ცხადყო, დედა-შვილის არც ერთი საჩივარი სიმართლეს არ შეეფერება. ეთერი და დედამისი რას დაგიდევენ სიმართლეს და სამართლიანობას? მათ იციან კანონები და პირწმინდად იყენებენ მათ, რომ არ დაიჩაგრონ, რომ არ შევიწროვდნენ...

ცილისმწამებლური უსახელო წერილების წერის პრიორიტეტი ეთერს ეკუთვნის. ვის უჩივის იგი და რას? ფაქტობრივად არაფერს საგნიერს. როგორც მისი განცხადება ადასტურებს, არც განაწყენებული ყოფილა ვინმეზე და არც მტრობა ჰქონია ვინმესი. წერს კია. ვაი რომ აუცილებლობა გახდა წერა-კითხვა ესწავლა ყველას, თორემ ქალი, ისიც გაუთხოვარი, დედის წინაშე და დედასთან ერთად

როგორ უნდა წერდეს უკვდავ ქმნილებათა შემქმნელ ქართულ ენაზე იმ სისაძაგლეს, რომელ გარეწარს ამოუვა პირიდან ის სიბინძურე, რასაც თალიკოს და ეთერის კალამი წერდა? რა სიმდაბლე, ბიჭიერება და დაცემა მათ ნაწერებში!

მთლად ნიადაგამოცლილი და წყალწყალა რომ არ გამოსვლოდათ მახინჯიწერლობა, დედა-შვილი თავად შობდნენ ჭორს, შეაყენებდნენ შემდეგ ოჩოფხებზე ამ ნაცოდვილარს და გაუშვებდნენ ორლობეში კედელ-კედელ, ჭიშკარ-ჭიშკარ, შუკა-ჭურჭი და ეზო-თიანდებოდა, გაულებდნენ სარკმელს ქვეყნის ჭირ-ვარამით გულშეჭირვებული დედა-შვილი და გიყვარდით — პროზა გნებავთ თუ პოეზია, ნარკვევი თუ პამფლეტი!.. იგზავნებოდა შემდეგ წერილები ახლოს და შორს, ძალიან შორსაც!.. ცდებოდა სხვადასხვა დარგის ათობით სპეციალისტი, კომისია, კომიტეტი!.. ბორცვადა ჭორი, უფუჭდებოდა გუნება-განწყობილება ადამიანებს, ეკარგებოდათ შრომის ხალისი!.. დედა-შვილი კი ისხდნენ და თავიანთი ოინაზობით გამოწვეულ აურზაურს რომ ისმენდნენ, იცინოდნენ, ხითხითებდნენ, ტკბებოდნენ!.



ვინ იცის, სანამ გასტანდა დედა-შვილის ცინიზმით აღსავსე საქციელი, უბრალო შემთხვევითობა რომ არა: ერთ დღეს ავტობუსში იპოვეს ხელჩანთა. მილიციის ორგანოებმა კარგა ხნის ძებნის შემდეგ დაადგინეს (ჩანთაში ეთერის და თალიკოს სახლის გასაღები აღმოჩნდა), რომ ჩანთა დედა-შვილისა იყო. ჩანთაში იდო საკმაოდ მაღალ ინსტანციაში გასაგზავნად გამზადებული ერთ-ერთი უსახელო წერილიც!..

სასამართლო ტექნიკური ექსპერტების ძიებით დადგენილია დედა-შვილის წვლილი

ამ ხელთუქმნელ საქმიანობაში. აბზაციდან აბზაცამდე, სიტყვიდან სიტყვამდე ყველა წერილი (იგი ჩვიდმეტია) დაწერილია მათ მიერ. საქმის ირგვლივ დაკითხულია 22 მოწამე, შედგენილია საძიებო ორტომეული!..

ვანელი პედაგოგების ერთ ნაწილზე ვთქვით ზემოთ, მათდამი მინდობილი უკეთილშობილესი საქმის — მომავალი თაობის აღზრდის ნაცვლად უკეთური ჯღაბნა აუჩემებიათო, გვაქვს ამის საბაბი და დიხსაც. თითქმის წელიწადი მოუნდნენ სოფელ მიქელეფონის რვაწლიან სკოლაში პედაგოგთა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ვასილ სანიკიძემ, წარსულში დამსახურებულმა კაცმა, 13 საკითხი დააყენა (წერილობით) და არც ერთი ბრალდება (უჩიოდა სკოლის ხელმძღვანელობას) არ დადასტურდა. სანაცვლოდ სკოლის განაწყენებულმა ხელმძღვანელობამ არ დაუგვიანა სამაგიერო „პატივის მიგება“ ბატონ ვასილს. ეს უკანასკნელი კი ისე გაიხილართა სხვათათვის დაგებულ მახეში, რომ დროულმა კაცმა კინაღამ ბრალდებულის სკამზე ამოყო თავი. ამ დავიდარაბის შესწავლას ათობით შემოწმება და კომისია მოჰყვა, შეიღანა პედაგოგის ღირსება!.. საქმეში ჩახედულმა კომისიამ ამხილა სკოლის პედაგოგთა დაბალი პროფესიული დონე, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

იქნებ მეტი ყურადღება იყოს საჭირო დარგის რესპუბლიკური ორგანოებისათვის? სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამჟამად რაიონის ათამდე სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აკლიათ. ასეთივე მდგომარეობაა უცხო ენების სწავლებაში.

ქურდს რა უნდა და ბნელი დამეო! იციან ეთერმა, დედამისმა, ბატონმა ვასილმა და მათმა მსგავსებმა, რომ რაიონს უჭირს მათი დარგის სპეციალისტები და ძირითადი საქმის შესრულების დროს ათასგვარი ნაყარწყარისა და ყურით მოთრეული სისაძაგლის ჩმახვას ახმარენ, ჯღაბნიან კიდევ და მათი ნაჯღაბნის გამო ცდება ათობით და ასობით საათი სამუშაო დრო, ქვეითდება სწავლების ხარისხი, ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს აღსაზრდელებზე, ხვალინდელი დღის იმედზე!..

ჩვენს ფელეტონს ლოგიკური დასკვნა მოუხდებოდა, ვითარცა სარედაქციო წესია. თუმცა ჩვენ თავმდაბლად ვუთმობთ ამის გაკეთებას სათანადო ორგანოთა ხელმძღვანელებს!

დავით ზალელი



უსიტყვოდ

მ

## ჩვენნი ღრთის ღამურები

ერთმა უგნურმა თავუნამ  
იუკადრისა თავგობა...

აპაპი

დადიან, დააქეთ თავები,  
როგორც ძვირფასი თასები,  
თვითონ „სვეტები“ დაირქვეს,  
ხალხს კი დაარქვეს „მასები“!..  
უყვართ ბრტყულ-ბრტყელი სიტყვები,  
გაუგებარი წიგნები!..  
„იზმების“ გაგონებაზე  
დასტიან, როგორც ციკნები.  
ისწავლეს უცხო ენები,  
ლამის ზედ გადაპყვებიან!..  
ქართულის შესვენებაზე  
ძალიან გვიბრაზდებიან:  
„არ გვეკერკება კარტული,  
ღზალიან დზნელი არიო,  
ნერვებსაც გვიშლის კეროპულს  
თქვენი „ჭარი“ და „ყარიო“!..  
იციან ამერიკული სლენგი და  
ფრანგის ფარგონი,

**საქართველო**  
**დაირიკა**

სულ გარე-გარე იწევენ  
აქ არავისთვის სარგონი!..  
ზოგი უცხოეთს წასულა  
და სხვას უკეთებს კინოსა!..  
ზოგიც იმათთვის აკუნესებს  
„სკრიპკას“ და პიანინოსა!..  
ზოგი ჩუმ-ჩუმად დასცინის  
ქართულ ჩოხას და კაბასა,  
თავის წინაპრებს ივიწყებს,  
ინგლისში ეძებს პაპასა.

ოსრავენ: „...ჩემი გოეთე,  
ჩემი რაბლე და დანტეო!..  
ქართველთან ჯდომას ის მიჯობს,  
უცხოელს ფესსა ვბანდეო!“  
უკვე იქამდე მისულან,  
რომ თურმე ფიცი დადესა:  
„ქართულ პურს აღარ ვიკადრებთ,  
თუ არ დააწერთ made-სა!“  
უცხო პანგებზე გაზრდილებს  
არ უყვართ „მრავალეამიერ“!..  
ძარღვებში „კოფე“ დაუღით  
ქართული სისხლის მავიერ!  
სხვის რომანსების მღერაში  
რეკორდიც დაამყარეს!..  
და ცრემლი დახდის პატარას  
ამათს სამშობლო მხარესა!..  
.....  
მზეო, ქართულო, ამოდი,  
ხმალო, დატოვე ქარქაში,  
თორემ დალუპავს ქვეყანას  
ამ ღამურების პარაში!

გურამ პეტრიაშვილი

# ქება ნეტარისა კურატორისი

მ ი რ ა მ ა

იყენება თუ არა სპირტიან სასმელებს წარღვნიანდელი დედა-მინის ცივილიზაცია? რა დონეზე იდგა ასევა-დალუვის ტექნიკა? როგორ იყო გადაყვარების ერთგვარი დონა და თამადასათვის განკუთვნილი ტარა?

ეს და სხვა საკითხები შედიოდა სმის ტექნოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ლვითოს კაიმიტქელაშვილის კვლევის სფეროში. და აი, ძველი მანუსკრიპტების ქვეყნის, რასაც მან თავისი მშფოთვარე სიცოცხლის საუკეთესო წლები შეაღია, თანაც ისე, რომ წვეთი არ დაუღვია, აღმოაჩინა ხელიწვლსაგომანები უძველესი ტექსტი.

ქვემოთ ვთავაზობთ ღვაწლმოსილი მეცნიერის ბედნიერ ნაპოვნს — „ქება ნეტარისა კურატორისა“.

„დღესა მთხოვნელთა მიღებისასა პირთუზმა ვეახელ სააჯოდ და ვერ ვინილე კურატორი მუნ. სკამი იყო ობოლ და კაბინეტი უკაცურს!..“

თავად არ ჩანდა უფალი კურატორი, ხოლო მასიურსა მაგიდასა ზედა იდგა წიგნი რამ გადაშლილი უსაზმნოდ დიდი, თვალს იტაცებდა სათვალეი მოოქროვილის ბუდითა და ხრჩოლავდა თრიაქი საფერ-ფლესა ზედა.

— სად მოვიძიო ბატონი კურატორი? — წარვსთქვი მავედრებელისა ხმითა, რაცა უფრორე მიაგავდა პეტელსა თიქნისასა საბრალობლი-სასა და სასაობითა მივაპყარ თვანლი მუშისასავით შემუგევი, ქუთუ-თოგალურჯებულ ასულსა ერთსა, მუნვე მოტორტმანავსა.

— მცირედისა ხნითა დათმო საქმეი ნეტარმან კურატორმან, რამეთუ ფრიად საშურმან საზრუნავმან წამოაგდო იგი სავარლითგან, — მაუწყა ასულმან სიგარეტისა ხრჩოლებითა.

და მე ამისა გამგევი უკუვდექ რიდიოთა დიდიოთა, ხოლო მაფიქრა საფიქრებელი გულისთქმამან და კვლავ ვეახელ ჟამსა ნასამხრალსა.

დაღაცათუ არ ჩანდა ბატონი კურატორი. ეს-ესა გავიდაო, — მაუწყა ასულმან, — საქმეი ესე სამაგიდოი რაოდენითამე გვერდითა წასწიო წინ და მიეძალაო ახლა სხვას...

მკრა ხიბლმან კურატორისა საქმისად ერთგულებისმან და წარედექ წინ და ვინილე ათორმეტითა გვერდითა წინ გადაშლილი წიგნი იგი. გავკვირდი ფრიად, რამეთუ ვირწმუნე ყოვლის შემძლეობაი ნეტარისა კურატორისაი სხვადასხვა საქმისა ერთდროულად წინ წაწევაში. მორიდებითა დიდიოთა უკუვიქმე და შემდგომ რაოდენისამე ხნისა მი-ვეახელ კვლავაც, ოდეს ეშვებოდა მწუხრი.

ისევ ენებებინა მობრძანებაი ნეტარსა კურატორს, ასერგასის გვერდით წინ წაწეია საქმეი და კვლავ მისძალეობდა უფრორე საშურსა საზრუნავსა.

და რა ვინილე სათვალეი ნეტარისა კურატორისაი უკვე შორეულსა გვერდზედ დებული და თრიაქიცა დანავლული ბოლომდე, შევჩვიფიდი მეტად და ვიდექ ასე დოყლაპობამდის გაკვირვებულო.

მიწურვილ იყო საშუაო დღისა და კვირისა, ოდეს ვეახელ სულ ბოლოს: იდგა მზიანი პარასკევი, ხოლო კურატორი იგი კვლავაც არ მისცემოდა დასვენებისა და გართობისა ხიბლსა, სათვალე მრავლიოთა გვერდითა წინ გადაწეია, თრიაქიც ბოლომდე მოეწეა და აწ სხვა საქმესა ჰკვეთებოდა დაუცხრომელის ენერგითა...

მოწიწებითა უკუვდექ და ვიზრახე თვინიერად გასვლა დერეფნით გან, ოდეს უცხო ვინმე დიაცი, ვითა მარჩიელი შემომეყარა წინ და მრქუა საიდუმლო ბატონისა კურატორის საოცარისა ნიჭისაი.

— არა განსაცვიფრებელ არს უნარი ნეტარისა კურატორისაი მრავალთა საქმეთა ერთდროულად ქმნაში, რამეთუ ჰყავს მას შეგირდნი.

და რა მაუწყა ესე, კრუსყოფილ ბატონავით გადამიტრიალა თვალნი — მუშისასავით შემურვილ ასულზე მიმანიშნა.

— თავად ბატონი კურატორი რას იქმს ამჟამად? — ვკითხე კრძალ-ვითა დიდიოთა.

— სადაგ დღეებში ნეტარი კურატორი ნიდაგ იდაგვის ცხელსა საშუაოსა ზედა, მკლავდაკაპიწებით ინებებს ტრიალსა მატერიალურისა აღწარმოების სფეროში, — მომიგო დიაცმან, — რამეთუ ითვლების სპეციალისტად მძიმეწონიან მატარებელთა შედგენაში.

მრქუა რა ესე, მაახლა დიაცმან სავიზიტო ბარათი ნეტარისა კურატორისაი და რა მივიქმე მას ადგილსა ზედა, წოდებულსა ოთხმა-ვალ ბაგანშემკეთებელ ქარხანად, ვინილე ნეტარი კურატორი ფრიად დიდ გარჯასა შინა მყოფი: ოთხმავეალს, რომელსა ეწერა „უშენიჩნი“, თავად მკლავდაკაპიწებული კურატორი უვლიდა გარს, დაპზრუნავდა მისამბეულ ვაგონ-პლატფორმებსა და ცისტერნებსა. ვაგონ-პლატფორმებზედ იორთქლებოდა ხინკალი, ქაბაბი, ტოლმა და ჩებურეკი, ხოლო ცისტერნებში იბუშტებოდა სითხეი შფოთიანი — ლუდი, ოსურად

ბაგანი, ხოლო მკლავდაკაპიწებული ბატონი კურატორი, ოდეს და რუდუნებასა შინა მყოფი, იღვწოდა დიდად — ქანჩალბევიოთ სტრიალბედა გაქონილ ხელში კედსა სელიოდისასა, ჯქმან დაწვე-რაებას...

და რა მიხილა, კურატორმან მე, ორთქლიან ზღურბლთან გაკვე-ბული, მეტის ნდომისაგან ქვედაყბაჩამოვარდნილი და ნერწყვისა და ბუზების ერთდროულად მყლაპავი, შემომეყილა დაშოშინად. თუ შემწედ მოსულხარ, შეგვეწეი, ბოთლურა საკისარი გვიცისრეო. ბოთ-ლურა საკისარს დიხაც ვიცილობდი და მეყვსეულად მივაგებე. ნეტარ-მან კურატორმან ხელის აკრობატული ცახცახით ჩამომართვა ბოთ-ლურა საკისარი, ძალუშითა შენჯღრევითა გაუსიხვა ხარისხი, მოწო-ნებითა აძიბა წარბნი, რამეთუ იხილა „შარკებად“ შემომწერი-ვებული ქაფი მის ყელსა ზედა... ასე დავიწყეთ ჟამსა მიმ-წუხრისასა მომდევნო მატარებლის შედგენაი, ხოლო ოდეს შეიქმნა ნაშუაღამევის ოთხი საათი, ოთხზე დამდგარი ოთხეული ხელისა კან-კალიოთა და თავისა რაცრაციოთა ჩაგვიბა ნეტარმან კურატორმან, თავად ქცეულმან ოთხმაველად...

— იმბირი-პიპილი!.. იმბირი-პიპილი!.. — მირეკავდა ოთხმავეალი საათში ცამეტი გოჯის სისწრაფითა და ამ სიჩქარემ დაგვაკარგინა თავნი ჩვენნი!..

და რა გამოსდა ჟამი გაბმულისა ხვრინვისაი, ვინილე უცხო მოყმი ვინმე, ტანსაცმელშემოფტქვენილი, მოხრჭიალე კბილებითა ვერ რკინა მკვენტელი, მიბმული რკინის საწოლსა ზედა, ხოლო ეზოში იყენა „ვოლგაი“ ოდესღაც, აწ გუნდაი ჯართისაი. მერმე სულაც განი-ყარა დღეი დამისაგან და სინათლეზედ ვპოვეთ თავნი ჩვენნი, ოლონ-დაც ვეღარ ვვანით ჩვენად, რამეთუ იყვენენ იგინი გადახორტილ და გადალოპრილ. ხოლო ბატონი კურატორი იყო უდრტივინველ და გუ-ლისხიბებს ედვა მას სავარცხლისა მაგიერ კუდი სელიოდისა საპახ-მელიოდ, რაც დასტურს ხდიდა მის წინასწარგანწვერეტის ნიჭსა გა-საოცარსა.

მოხიბულ ვიქმენ ნეტარისა კურატორის წინდახედულობის კიდევ ერთი გამობრწყინებით, როცა მან, ვითა მირონი, ასალოკად გამო-გვიწოდა სელიოდისა კუდი — საპახმელიო გულის მოსაოსად და გამ-შრალი ენის დასასველებლად.

მუხლი მოვიყარე მის წინაშე და სანთლად მივიჩნიე მისი წი-თელ წიწკასავით ავარვარებული და მეტის მცხუნვარებით დაგრე-ხილი ცხვირი — პირჯვარი გადავიწერე.

ხოლო ბატონი კურატორი იყო მჭმუნვარე და კბილებმოკრატუნე ჭყინტი ყველის ჭამის დონემდე.

გარნა რის მიხვედრა უნდოდა: იგი კვლავ მომდევნო მატარებლის შედგენაზე ფიქრობდა.

სასობითა შევიგლე ხელნი გადახორტილსა თავსა და უკუვდექ-სხვანიცა განვრინდენ, უტიეს მოელის ძალით შერკინებოდა ზეკაცურ-სა ფიქრსა. ოთხმავეალ-ბაგანშემკეთებელი ქარხნების გაერთიანების გენდირექტორს კვლავ საქმისკენ მიუწყევდა გული...


ხოლო თენდებოდა დღეი საკავშირო პახმელიისა — ორშაბათი...

სამწუხაროდ, აქ წყდება ამ იშვიათი ისტორიული ჩანაწერის ერ-თადერთი უნიკალური ეგზემპლარის მეტად საინტერესო ტექსტი. და-ნარჩენი წაშლილია, ოდონდ რით — ჟამთა სიავითა თუ ხალხის უმა-ღურობით — ეს უკვე მომავალი კვლევის საგანია.

ელგუჯა მირაბიშვილი



საქართველოს  
საბჭოთაო  
კომუნისტური  
პარტია



— ყველა ოპონენტი ნახვამია?  
— აბა, რა იქნება!.. დისერტანტებიც გარდაიქმნენ, დესერტაციით იწყებენ...

**ვარიანტი „რწმინდი და ჭინჭველის“ თემაზე**

მუნიდან პურამდე  
მუხავე, მომედ „რკომბინკორმი“, მას მივუტან ღორსა,  
ღორი დათმობს პურსა, პურს მივუტან კაცსა,  
კაცი მომცემს გაზეთიდან ამონაჭერ სვეტსა:  
„დანაშაულია, საქონელს ვაჭამოთ პური ჩვენი არსობისა!“

**მისამღერი:**

აბა, ერთი გაუბედე სამღურავი ორ-სამ კომლსა,  
გეტყვი: რა ვქნათ, თუკი მუხა  
აღარ გვაძლევს „რკომბინკორმსა“?!

**ხაბაზიდან კაფიამდე**

„გარდაქმნა ყველამ საკუთარი თავიდან უნდა დაეიწყათ!“

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ**

ხაბაზო, გამომცხვე კარგი პური,  
კარგ პურს მივუტან მეჭუდესა,  
მეჭუდე შემიკერავს კარგ ქუდებსა,  
კარგ ქუდს მივუტან კარგ ღურგალსა,  
ღურგალი გამიკეთებს კარგსა სკამსა,  
კარგ სკამს მივუტან კარგ ეკიმსა,  
ეკიმი გამომიწერს კარგ წამალსა,  
კარგ წამალს მივუტან კარგ ხარატსა,  
ხარატი გამოჩარხავს კარგ კალამსა,  
კალამს მივუტან კარგ მგოსანსა,  
მგოსანი დაგვიწერს კაფიასა,  
რომელშიც დაგმობს დასაგმობს და  
სიმართლისათვის დადებს თავსა!..

**მარტივი აზრისა ახალა ასაკის მკითხველისათვის**

ჩვენი რესპუბლიკის A-დან B პუნქტში გაიგზავნა ელვა დებე-  
შა შემდეგი ტექსტით: „პრივეტ, ხახლიკაცო. ნოვოსელია გადავიხადე.  
გიგავნი სპისოკს, იქნებ მანდ მიშოვო აკოშკის რუჩკები დვა დვაცა-  
ტიანი, შკაფის ზამოკები, ლუსტრის ლამპოჩკები, კუნხის სტოლი  
კლეჩატი სტოლხაფრით, პისმენი სტოლი სტოშისიატიანი, სპ.ლნის  
კრაოტები მატრახებით, პრასტინებით, ნავოლოჩკებით, იმპორტნი  
ღაროჩკები, ზანავესკები, კნიჟნი პოლკები. სამი ბანკა პოლის კრასკა  
კისტებით, პარნიკის ტრუბა ტრიჩეტვრტი. მაშინის ზაპჩასტებიც  
მკირდება — ნაკანჩნიკები, პრაკლადეები, შარავოები, რასპრედვალი,  
რუჩნიო ტროსი, ბარდაჩოკის და საბაგაუს სეკრეტები. პაკრიშკები  
დამიღისდა. ზაპასკებიც დაიბრიდა. ფაციახთვის გვინდა ფართუკი  
იუბკა და კარიჩნი კოფტა სერდცეგულაინი, ტუფლები ან საპოუკები  
სოროკავი. ზერნიხტი იკრა და რასტვარიმი კოფე. ჟღუ აბვეტა-  
პიკიოკ.“

- ამოცანა გვეითება: 1. რომელ ენაზეა შედგენილი დებეშა?  
2. რამდენი ქართული სიტყვაა ტექსტში სანთლის: მოსაძებნი?  
3. ყველაზე ხშირად რომელ ლექსიკონში უნდა ჩაეხებლოთ?  
ველით სწორ პასუხებს!

აშირან კალაძე



# ბიძისა მინდაძე

# საქართველო - ირობნიაციო ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარში

(როგორ ვიაროთ ცხოვრების გზაზე...)

უნდა იარო მარჯვნივ (ძალიან მარჯვნივ არა),  
უნდა იარო მარცხნივ (ძალიან მარცხნივ არა)  
და შუა ხაზთან ახლოს (ამბობენ, ახე სჯობს!).  
ვინც გადაუხვევს - სცოდავს!  
ვინც არ გადაუხვევს - სცოდავს!  
ვინც გადაუხვევს - ვიცხავთ!  
ვინც არ გადაუხვევს - ვგმობთ!  
მაშროვისაკენ (ცოტა)!  
მალრიბისაკენ (ცოტა)!



სამხრეთში ძლიერ ცხელა,  
ჩრდილოეთში კი - თოვს!..  
საბრალო ჩემო თავო,  
შენ არ გივლია მარჯვნივ,  
შენ არ გივლია მარცხნივ,  
არც შუა ხაზთან ახლოს  
ადგილს ეძებდი მზიანს!..  
იქნებ ცხოვრების გზაზე,

შენი ცხოვრების გზაზე,  
შენ მიდიოდი ასე:  
- ადგილზე ნაბიჯით იარ!  
მიტომ არავეინ გაქვებს,  
მიტომ არავეინ გაციხავს,  
მიტომ არა გაქვს ბარგი,  
არც სხვას აწვევდი ბარგად!  
მიტომ ახსოვხარ არვის,  
როგორც ფეხბურთის მსახვი  
(არავის ახსოვს მსახვი,  
თუკი იმსახვა კარვად!)

## ავიცნა

გადადა ნამდვილ პოეტზე

ერთი სამთავროს პრინცესა  
გადაუვა ლექსის წერას!..  
შეწუხდა მამა-ბატონი:  
„ვაი, ჩემს ბედისწერას!..  
იხმო ცნობილნი აქიმნი,  
წვრილად აუწყა საქმე!..  
დადუმდა კონსილიუმი -  
არვის იტყოდა რასმე!..  
ინურებოდა ზაფხული,  
იყო ფოთლების ცვენა!..  
„მეყვარებული ყოფილა!“ -  
ბოლოს თქვა ავიცენამ.  
გავარდნენ მალემსრობლები,  
ატყდა პარტივი სიძის!..  
გადაიხადეს ქორწილი  
მთავარბატონის ღირსი!..  
მეფე მაღალი, ლამაზი,  
დედოფლის გულის ძეგრა!..  
არ მოიშალა პრინცესამ  
მანც ლექსების წერა!..  
და იხმო ქმარმა აქიმნი,  
წვრილად აუწყა საქმე!..  
კონსილიუმი ისევ დუმს -  
არავინ იტყვის რასმე!  
„ბუკრი აკითხეთ ლექსები!“ -  
ბოლოს თქვა ავიცენამ -  
„აკითხეთ, იქნებ შეძულდეს


ლექსი და ლექსის წერა!“  
აკითხეს, ვით არ აკითხეს,  
აკითხეს, როგორც ჯერ არს!  
არ მოიშალა პრინცესამ  
მანც ლექსების წერა!..  
კვლავ შედგა კონსილიუმი  
და კვლავ დადუმდა ყველა!..



„რა ვენა, პოეტი ყოფილა!“ -  
ხელებს შლის ავიცენა.

დღე გადავიდა ღამეში,  
სიზმრების ვნახე ცვენა!..  
მაგრამ ვით დამავიწყდება,  
რაც მიიხრა ავიცენამ:  
„ო, ეს რა გითქვამს, კოლეგა,  
ქაღალდი რას არ ითმუნს!..  
სანამ დიავნოზს დავევაძდე,  
ლექსები წავიკითხე!  
ასლა კი ერთი თხროვნა მაქვს,  
ქართულ აქიმთა ხათრით,  
ავიცენად ნუ მახსენებ  
და სინაისძე მარქვი!“

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ნ.ს. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ



ნ.ს. მ. აბაშვიძისა



ანონიმური წერილების ბასსნა

# ყურადღება: კოოპერატივი "რეპეტიტორი"

**აბიტურიენტისა** და მათი მშობლების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა კოოპერაციული ამხანაგობა „რეპეტიტორი“, რომელმაც გახსნა რეპეტიტორთა მოსამზადებელი სამთვიანი კურსები. კოოპერატივი ამზადებს მრავალპროფილიან მაღალკვალიფიციურ მასწავლებლებს საშუალო სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან, აგრეთვე მათ მშობლებთან სამუშაოდ.

კურსებს აქვს სხვადასხვა პროფილის რეპეტიტორების მოსამზადებელი განყოფილებები, სადაც ცოდნასა და გამოცდილებას გაიღრმავებენ:

1. იატაკქვეშა (არალეგალურად მომუშავე) რეპეტიტორები;
2. მოხეტიალე (აბიტურიენტთა ბინებში მოსიარულე) რეპეტიტორები;
3. ფინგანის ინსპექტორებთან საერთოუნაგამონახული რეპეტიტორები;
4. საგნობრივი საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეებთან „მეკრული“ რეპეტიტორები;
5. მზამზარეული შპარგალკებით მომუშავე რეპეტიტორები.

რეპეტიტორების მომზადება სდება დიფერენცირებულად, საგნებისა და ინსტიტუტების მიხედვით, კერძოდ, ცალ-ცალკე ჯგუფებში იმეცადინებენ: ა) საშვიდციხო ინსტიტუტის, ბ) უნივერსიტეტის გ) პედინსტიტუტების, დ) პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტინსტიტუტების, ე) ტექნიკუმების აბიტურიენტებთან მომეცადინე რეპეტიტორები, აგრეთვე ორ და მეტ საგანში მომუშავე მასწავლებლები.

კურსებზე მიიღებიან სამეცნიერო ხარისხის მქონე რეპეტიტორები, უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე რეპეტიტორები ასაკის შეუზღუდავად (მათ შორის – პენსიონერებიც).

კურსებზე ჩასარიცხად საჭიროა საგნობრივი საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეთა წერილობითი რეკომენდაციები. მისაღები გამოცდა ჩატარდება ერთ საგანში (სპეციალობაში). შპარგალკის გამოცემა აკრძალული არ არის.

ცალკე ჩამოყალიბებული საგნობრივი საგამოცდო კომისიების შტატიან (ნაფიც) თავმჯდომარეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ჯგუფები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობა საჭირო არ არის.

კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელებს მიეცემათ მოწმობა სპეციალობის აღნიშვნით.

კურსები მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე. სწავლის გადასახადი – მორიგებით.

დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კურსების დირექციას. მისამართი: თბილისი, აბიტურიენტის ჩიხი №1. ტელეფონი 50-11-12.

კოოპერატივის გამგეობის დავალებით  
**რაქატი ტორაძე**





# ზინის ქირის

# შესასწავლი

ქრისტეშვილი  
ნიკოლოზი

ამ დალოცვილ წუთისოფელში ყველას თავისი საზრუნავი თუ სადარდებელი აქვს. მე, მაგალითად, დღედაღამ არ მძინავს იმაზე ფიქრით, რომ ბინის ქირას ძალიან ცოტას ვინდი. ჩემს სხეულში მოთავსებული სოციალური პოლისმენი — ჩემი მოქალაქეობრივი სინდისი — ყოველ წუთს მისტვეს და ყურში ჩამძახის: „არა გრცხვინია, ბიჭო?!“

ნამდვილად გრცხვინია, ბინის ქირას უფრო მეტს რომ არ ვინდი და მშურს ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგა-მობინადრეებისა, ამ მხრივ განებივრებულები რომ არიან. რატომ არ უნდა დავეწიოთ მათ და გავასწროთ ბინის ქირის გადახდაში?

ღმერთმა უშველოს, ჩვენს პრესაში უკვე გამოითქვა აზრი, რომ ბინების უფასოდ მიღება, მათზე უადრესად დაბალა ქირა (იგი თურმე დღემდე 1928 წელს დაწესებული ქირის დონეზე რჩება) მოქალაქეთა ერთ ნაწილს უბიძგებს, რაც შეიძლება მეტი საცხოვრებელი ფართობის ყველა საშუალებით ხელში ჩაგდებისაკენ.

გეწყინება კაცს, აბა რა იქნება? კილოგრამი საზამთრო ფულის გამოცვლამდეც ორმოცდაათი კაპიკი ღირდა და ფულის გამოცვლის შემდეგაც დაახლოებით ასე ღირს, ბინის ქირა კი 1928 წლის დონეზე რჩება. ხომ შეიძლება იგი საზამთროსავით ათჯერ გაძვირდეს? როგორ არ შეიძლება! თუ გული გულობს, ბინის უფასოდ მიღებაც ფასიანი შეიძლება გახდეს. ერთოთხიანი ბინის მისაღებად რომელიმე მოქალაქეს რომელიღაც აღმასკომის რომელიღაც განყოფილების რომელიღაც თანამშრომელი ხომ ართმევს ათი ათას მანეთს და ჯიბეში იდებს? არა სჯობია ეს თანხა სახელმწიფომ წაიღოს, თანაც და-

ნორმაზე მეტ ფართობზე კი შემოვიღოთ დიფერენცირებული გადასახადი, რომლის სიდიდე დამოკიდებული იქნება ბინის ხარისხსა და ადგილმდებარეობაზე.

ოჰ, ღმერთმა ააშენოს ამ აზრის გამომთქმელი! პირდაპირ გული არ მომყხანა, ადგილმდებარეობაც რომ ასხენა? ხო, ხო, რა დღეში ჩაცვივდებიან ვაკეში მცხოვრებლები, „სკვებებად“ რომ მოაქვთ თავი?! როგორ დაუწყებენ ხვეწნას აეროპორტის დასახლების მცხოვრებლებს, წაიღეთ ჩვენი ბინები და თქვენი მოგვეცი, ბინის ქირამ წელში გაგვწყვიტაო! რას უპასუხებენ ამაზე აეროპორტის დასახლების მობინადრეები? რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო — ძველი ანდაზაა, მაგრამ ჭეშმარიტების რამდენი მარცვალია შიგ! ადრევე წასულიყვნენ ვაკელები აეროპორტის დასახლებაში, ბინის ქირასაც ნაკლებს გადაიხდიდნენ, თვითმფრინავებიც ცხვირწინ ეყოლებოდათ და ვაკიდან იქამდე მისვლისთვის ტაქსის მძღოლს ათ მანეთსაც არ გადაუხდიდნენ, თუ მოსკოვში ან სადმე გაფრენას ისურვებდნენ.

პირდაპირ მშრომელი მასებისა და ხელფასის შემყურე ადამიანების გულისთქმა გამოხატა ერთმა, როცა განაცხადა, რომ ბინის ქირა მცხოვრებლებს უნდა გადავანდევინოთ სათავსების, სამზარეულოს, სააბაზანოს, ლოჯიას და სხვა ფართობების ფლობისთვისაცო.

სრული ჭეშმარიტებაა! ან აქამდე რატომ არ გვახდევინებდნენ? რა მოჰყვა ამას? ორიოდე დღის წინათ ერთი კაცი ჩელიუსკინელების ხიდიდან მტკვარში გადავარდნას აპირებდა. ხელი ვტაცე, გადავარჩინე და ვკითხე, თავს რატომ იკლავ-მეთქი?! — უბედური კაცი ვარ, დამხმარე სათავსებზე ბინის ქირას არ მანდევინებენო! დავამშვიდე, ნუ ჩქარობ, საქმე ისე მიდის, მალე გადავანდევინებ-მეთქი და განზრახვაზე ხელი ავადებინე. კაცი აღფრთოვანებული წავიდა სახლში, საზოგადოებაში პიროვნებად იგრძნო თავი. მჯერა, იგი მომავალში მთებს გაანგრევს.

ამასთან დაკავშირებით ასაღმა იდეამ შემაწუნა: რატომ მსოლოდ დამხმარე სათავსებზე? ქირის დაწესება შეიძლება საცხოვრებელი სახლის ეზოში შესვლაზე, შესასვლელამდე ტროტუარის გავლაზე, შესასვლელის კიბეების ავლაზე!.. ვთქვათ, მეოთხე სართულზე ცხოვრობ, თუ სართულსა და სართულს შორის ოცი კიბეა, ბინაში მისვლამდე ოთხმოცი კიბე გექნება ასავლელი. თუ კიბის თითოეულ საფეხურზე ფენის დადგამაში თითო კაპიკ ქირას დავაწესებთ, მაშინ მეოთხე სარ-

თულზე მცხოვრები სულ რაღაც ოთხმოც კაპიკს გადაიხდის თვეში. რა ქნას მეოცე სართულზე მცხოვრებმა? ყველამ თავის სართულზე იფიქროს, მე მეოთხეზე ვფიქრობ და წინასწარ ვანგარიშობ, რამდენის გადახდა მომიწევს მომავალში. უკვე მესმის ცხოვრებაში ჩაუნდავი და შეუვნებელი მობინადრის ქირქილი, ხალხი ეშმაკია და სულ ლიფტით იმგზავრებსო. ჩვენ რა, ნაკლები ეშმაკები ვართ? თუ ლიფტით იმგზავრებს, ვლექტროენერჯის ხარჯვის ღირებულებაც დავუბაროთ



ზედ, ლიფტი ველოსიპედი ხომ არ არის, დენს ხომ ხმარობს? არ დამავიწყდეს: ელექტროენერჯია დღეს ძალიან იფია და მისი გადასახადი გავაძვიროთ, თორემ კილოვატზე ოთხი კაპიკი რა სასხენებელია!

კიდევ ერთი რაციონალური წინადადება მსურს შევთავაზო ბინის ქირის გაძვირების მსურველებს: ლოჯიიდან გარეთ სარეცხს რომ ფენენ დიასახლისები და ეზოს სივრცეში პაერის ვარკვეულ მონაკვეთს იკავენენ, იმაზეც დავაწესოთ ქირა! საზღვარგარეთ ხომ იყიდება პაერი? — ამაშიც დავეწიოთ და გავასწროთ! არადა, ცოტა შემოსავალი როდი შემოგვივა: მობინადრე პაერის ათ კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავენს? — ათი მანეთი გადავანდევინოთ თვეში (საერთოდ, შევთანხმდეთ, რომ გადასახადი იყოს თვიური და არა კვარტალური).

ბოლოს ერთხელ მინდა, ორჯერ მინდა და სამჯერ მინდა დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმ პირების მიმართ, ვინც საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში აშკარად გამოთქვამს პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში თავის აზრს ბინის ქირის უთუოდ გაძვირების თაობაზე.

გიგა მანვილაძე




წესებული ნინრით? ამასთან გათვალისწინებული იყოს ის, რომ ხელფასის შემყურე ადამიანისათვის — ათი ათასი მანეთის გადახდა ნამეტანი ძვირია და მან ცხრა ათას ხუთასი მანეთი გადაიხადოს?

ზოგი ფიქრობს, რომ წინასწარ განვსაზღვროთ საცხოვრებელი ფართობის სოციალურად აუცილებელი ნორმა, რომელზეც ბინის ქირას უფიქრებლად დავტოვებთ, დაწესებულ

31. III 88

# რეკლამა



**პატივცემულო ნიანგო!** ამჯერადაც გაგვახარეს საქართველოს საფეხბურთო პირველობაში მონაწილე გუნდებმა. მე ვგულისხმობ კეთილშობილ ქართულ სახელებს, რომლებსაც ირქმევენ კლუბები. მარტო მათი განსხვებაც კი სპორტული პატრიოტიზმის გრძნობას უღვივებს მაყურებელს, ფეხბურთელებს კი ახალი მიღწევებისაკენ უბიძგებს!

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: „მეტალისტ“, „ავტომობილისტი“, „მეშახტე“, „ქიმიკოსი“, „მეშაქრე“, „მეავეჯე“ (ძალიან დასანანიია, რომ ჯერ არ არსებობენ გუნდები „სანტექნიკოსი“, „მელორე“ და ა. შ.).

აგრეთვე უაღრესად კეთილშობიანია: „სპი“-„დინამო-3“ (არ აგერიოთ „თსუ“-ს პარტაკ-მ-ში!), „სუბტროპიკი“, „მიონი-35“; მაგრამ შარშან ისედაც განებივრებულ გულშემატკივრებს ნამდვილად სასიამოვნო სიურპრიზი შემოსთავაზეს თბილისელებმა — „ფოსტამტი“ (!), სამტრედიელებმა — „ხდკ“ (!!), და, რასაკვირველია, ზესტაფონელებმა — „ცენტმეტალურგმშენი“ (!!!).

მართალია, „ხდკ“-ს თაობაზე ფეხბურთის ქომაგთა აზრი გაიყო — ზოგი ამ ასოთწყობას ასე შიფრავს: „ხანდაზმულ დურგალთა კოლექტივი“, ზოგიც ამბობს, რომ „დ“-ზე კიდევ ბევრი სიტყვა იწყებაო... თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ საქომადოდ ყველა ძალიან კარგია. აბა, წარმოიდგინეთ მრავალათასიანი შეძახილი: „ფოსტამტი“, „ფოსტამტი“ (ან „ფოსტამტი“!), „ხდკ! ხდკ!“.

და მოწინააღმდეგისათვის თავზარდამცემი „ცენტმეტალურგმშენი“, „ცენტმეტალურგმშენი“.

(„ი“ მოცილებულია შეძახილის გასაძლიერებლად). პატივცემულო „ნიანგო!“ ამ სახელებს უეჭველად რაიონული მასშტაბის ნათლიმამები ეყოლება — ალბათ სპორტის სელმძღვანელი მუშაკები. ძალიან გთხოვთ, ნუ მოგვაკლებთ ამ სიამოვნებას და საჯაროდ გამოაქვეყნეთ მათი სახელები, რათა ყველამ ვიამაყოთ ამ გამჭრიახობით.

**პატივისცემით—კინორეჟისორი ალექსანდრე ჟდენტი**

ნ.ა. ჯ. ლოლუასი



ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემები უირომის ნაპირებთან პროვოკაციულ-ჩაშლურ მისიას ასრულებდნენ.



ნან. ი. გვილაშვილი

თქვენ  
დაარღვიეთ  
საზღვაო კავშირის  
სახელმწიფო  
საზღვაო!

რას ბრძანებთ ბატონებო,  
ჩვენ კი დარწმუნებული  
ვიყავით, რომ ვიყოფებით  
სპარსეთის ყურეში.

სატირკისა და იუმორის  
ჟურნალი „სატირკული“ №8  
(1760). მარტი. გამოდის  
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ვახუა ამირეჯიბი, ნოზარი  
ბარათია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-  
მალ ლოლუა, ნოდარ მა-  
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-  
ტორი), ალექსანდრე სამ-  
სონია, ბეჟან სიხარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჭანსუღ ჩარკვია-  
ნი, თამაზ წიგწივაძე, ნა-  
ფი ჭუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად  
24.02.88 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდლად 28.03.  
88 წ. ქალაქის ზომა  
60x90<sup>1/8</sup>, ფიზიკური ნაბე-  
ჭლი ფურცელი 1,5. სადრ-  
ეტიცივო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9, საქართველოს კბ  
ცკ-ის გამოცემლობა,  
ლენინის 14, შეკვ. 515  
უე 04718 ტირაჟი 140000  
ქურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაეების — 99-02-38,  
მდივან-მეზანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
Ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაბ.  
ინდექსი 76137

